Project funded by EUROPEAN UNION

Tourism, Heritage and Creativity

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

პრეს-რელიზი

04.12.2020

ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა

"ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა" (“Tourism, Heritage and Creativity” (THC)) არის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის (GACC LPP1), European Institute for Cultural Tourism EUREKA NPO (კულტურული ტურიზმის ევროპული ინსტიტუტი; PP2), Foundation for the Development of the City of Mykolaiv (FDN; PP3) (ქალაქ მიკოლაივის განვითარების ფონდი), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს (PP4) ერთობლივი პროექტი. პროექტის მიზანია ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის სექტორების ერთმანეთთან დაკავშირება მათი საერთო განვითრების ხელშესაწყობის მიზნით. პროექტის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები ემსახურება შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებების და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძვნებული კულტურული პროდუქტების დახმარებით ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. პროექტის განხორციელების პერიოდი 26.09.2020-დან 26.12.2022-მდეა. THC დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მხარდაჭერით.

მიმდინარეობს ტურისტების ინტერესების გლობალური გადანაცვლება მონაწილეობითი გამოცდილებისა და ადგილობრივ კულტურასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობისკენ. პროცესს თან ახლავს მდგრადობის პრინციპების გამოყენების უდავო საჭიროება ყველა ტურისტული პრაქტიკის მიმართ. გარდა ამისა, ტურიზმის ინდუსტრია ხდება სულ უფრო გაჯერებული და იმატებს კონკურენცია. სწორედ ამიტომ, შავი ზღვის ქვეყნებმა უნდა მოიძიონ ტურისტული პროდუქტების განვითარების ინოვაციური ხერხები და ფართო აუდიტორიის მიღწევის გზები. შემოქმედებითი ტურიზმის განვითარებადი სფერო პასუხობს ზემოხსენებულ გამოწვევებს, ახდენს რა ფოკუსირებას არამატერიალურ მემკვიდრეობაზე და ტურისტებს სთავაზობს მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან აქტივობებს და პროდუქტებს. შემოქმედებითი ტურიზმი მოგზაურებს საშუალებას აძლევს გაიმდიდრნონ შემოქმედებითი უნარები და არ დარჩნენ პასიურ როლში მატერიალური კულტურული ფასეულობების შეცნობის პროცესში.

არამატერიალურ მემკვიდრეობაზე ყურადღების გამახვილებით, შემოქმედებითი ტურიზმისთვის დამახასიათებელი აქტივობები და პროდუქტები უფრო მდგრადია, რადგანაც არ ახდენედ გარემოზე დამატებითი ზეწოლას. ადგილობრივი კულტურასთან ახლო ურთიერთქმედება, ღრმა პატივისცემის გრძნობას აღვივებს მასპინძლის სოციალურ-კულტურული ავთენტურობის მიმართ და უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელს.

პროექტი მოიცავს სამ სხვადასხვა რეგიონს: სევეროიზტოჩენს ბულგარეთში, მიკოლაივს უკრაინაში და აღმოსავლეთ საქართველოს. უნიკალური კულტურის, მრავალფეროვანი ისტორიული ძეგლების, ძლიერი ტრადიციების და მდიდარი ბუნებრივი რესურსების მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილ რეგიონში არ ხდება ამ რესურსების სათანადო გამოყენება. მემკვიდრეობაზე დაფუძნებული შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებები და კულტურული პროდუქტები უზრუნველყოფენ ამ რეგიონების კულტურულ მრავალფეროვნების უკეთ წარმოჩენას და ეკონომიკურ სარგებელის მოტანას. თემატური მარშრუტებით შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებების გაერთიანება გააძლიერებს ადგილობრივი მოსახლეობის მარკეტინგულ შესაძლებლობებს და განავითარებს მდგრად ტრანსსასაზღვრო ბიზნეს კავშირებს.

პროექტის ფარგლებში ჩატარდება კვლევები, შეიქმნება ახალი ტურისტული და კულტურული შემოთავაზებები და პროდუქტები, ჩამოყალიბდება საერთაშორისო მარშრუტები და მათი პოპულარიზაციისთვის საჭირო ერთობლივი პლატფორმები.

დამატებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს (PP4) მათ დაქვემდებარებაში მყოფი ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში (მირზაანი) განხორციელდება მცირე ინვესტიცია. აქ ჩამოყალიბდება ეთნოგრაფიული კუთხე და რეწვის სახელოსნო. მუზეუმის ტერიტორიაზე რეწვის სახელოსნოს დაარსება და შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებების შექმნა ხელს შეუწყობს ტურისტების მიზიდვას, შემოსავალის გაზრდას, და ადგილობრივი მოსახლეობის და მომუშავე პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებას. ინფორმაცია სახელოსნოს შესახებ განთავსდება პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებ-პლატფორმაზე. ობიექტი აგრეთვე შეურთდება რეგიონალურ ტურისტული მარშრუტების ქსელს.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი (Georgian Arts & Culture Center)
მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქუჩა 7, 0108, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2931335
Email: natiat@gaccgeorgia.org
მობილური: +995 599 405 403